KA040145189191119

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 1036/სა **21 / ნოემბერი / 2019 წ.**

ბრძანება

წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებისა და შესაბამისი ინფორმაციის/ დოკუმენტაციის წარმოდგენის თარიღის განსაზღვრისა და კომისიაში გაწევრების პირობების შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18[1] მუხლის მე-3 პუნქტის, ,,შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნის მიზნით, კომისიაში გაწევრების მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, მიეცეთ შესაძლებლობა საჯარო სამსახურის ბიუროში წარმოადგინონ განცხადება და შესაბამისი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია არაუგვიანეს 2019 წლის 13 დეკემბრისა.

2. საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.csb.gov.ge) 2019 წლის 21 ნოემბერს გამოქვეყნდეს კომისიაში გაწევრების პირობები დანართის შესაბამისად.

3. კომისიაში გაწევრების მსურველმა კანდიდატებმა წარმოადგინონ დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა